ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №66

2014 წლის 3 ივნისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №20 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“** საფუძველზე, **აკადემიურმა საბჭომ**

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №20 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ 2014 წლის 28 მარტის №21 დადგენილებაში, კერძოდ: საკონკურსო კომისიაში გალინა მეფარიშვილისა და გია ბოლქვაძის ნაცვლად შეყვანილი იქნან გურამ ჩხუბაძე (ბსუ–ს პროფესორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი) და ლამზირი გორგილაძე (ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ–თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი);
2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**